განრისხებული აუტსაიდერები

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 19 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი (ორჯონიკიძე) – 5:2 (2:0).

“დინამო”: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ჭელიძე (მაჩაიძე), ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

“სპარტაკი”: ოლეინიკი, პოდლუჟნი, პლიევი, ხიდიევი, ყო??ევი, ძაგოევი (ტუაევი), აბაევი, კაიშაური, პაპელიშვილი, ზაზროევი, მოზჟუხინი (ტარასიანი).

მსაჯი: ა. ვასილიევი (ხარკოვი).

დუბლიორები – 3:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

“განრისხებული აუტსაიდერები” – სხვაგვარად ვერ უწოდებ გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილებზე მყოფი გუნდების მასირებულ იერიშს არა მარტო მათზე, ვინც კარგა ხანია მიიღო უმაღლეს ლიგაში დარჩენის საიმედო გარანტია, არამედ მათზეც, ვინც საპრიზო ადგილების რეალური პრეტენდენტია. გაიხსენეთ, თუნდაც, “შახტიორის” გამარჯვება მოსკოვის “დინამოზე” და ცსკ-ზე, ქუთაისელებისა – კიევის “დინამოზე”. მაგალითების საძებნად შორს წასვლა რად გვინდა: იმავე ორჯონიკიძის “სპარტაკმა”, რომელიც ჩვენი მოწინააღმდეგე იყო 19 ოქტომბერს, სულ ახლახან სენსაციურ გამარჯვებას მიაღწია კიევის “დინამოსთანა” და მოსკოვის “ტორპედოსთან”.

“ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს” – დაახლოებით ასე შეიძლება ეწოდოს აუტსაიდერთა ამ გამძვინვარებულ აღზევებას, მაგრამ გამართლება მას უდავოდ აქვს. იმედს არავინ კარგავს, ყოველი გუნდის ხელმძღვანელობას გამოთვლილი აქვს თავისი კონკურენტებისა და საკუთარი შესაძლებლობანი; შანსები უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე და სურს მაქსიმალურად გამოიყენოს ისინი.

ასეთ უკანასკნელ შანსს წარმოადგენდა ორჯონიკიძელთათვის მატჩი თბილისში. გუნდს იგი უნდა მოეგო აუცილებლად, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი ლაპარაკი უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე მხოლოდ უტოპიური ოცნების ნაყოფს წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ ორჯონიკიძიდან ჩამოსულმა გულშემატკივრებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს თავიანთ გუნდს გასამხნევებლად, ამიტომ იყო, როგორც კი დაიწყო მატჩი, სტუმრებმა ისეთი სისწრაფითა და ძალით შეუტიეს “დინამოს” კარს, რომ სრული აღრევა გამოიწვიეს მცველთა რიგებში. ეს იერიში ზედიზედ რამდენიმეჯერ გამეორდა, მცველებმა ვერ მოასწრეს გზების გადაკეტვა და შესაძლებლობა შეუქმნეს კაიშაურს ღია პოზიციაში დარჩენილიყო – 1:0.

ნახევარი საათი დასჭირდათ დინამოელებს საიმისოდ, რომ ანგარიში გაეთანაბრებინათ და ამ პერიოდში ისინი უაღრესად უსისტემოდ, არაორგანიზებულად, არეულად მოქმედებდნენ. საკვირველია, რატომ ეთამაშებოდნენ ჩვენი გუნდის მცველები “სპარტაკის” თავდამსხმელებს პერსონალურად, ვინ იყო იქ ისეთი მრისხანე და საშიში, რომ ასეთ საგანგებო ყურადღებას საჭიროებდა? ნახევარდაცვა სისტემატურად აყოვნებდა შეტევაზე გადასვლას, არ იმყოფებოდა სათანადო კონტაქტში ფორვარდებთან, ეს უკანასკნელნი კი, ლ. ნოდიას გარდა, ხშირად კარგავდნენ ბურთს, ან არაზუსტად ურტყამდნენ კარში.

ბოლოს, როგორც იქნა, “დინამომ” მოძებნა თამაში, სპარტაკელთა დაცვაში გაჩნდა “ბზარები”, სადაც თავისუფლად შედიოდნენ თავდამსხმელებიც და ნახევარმცველებიც. 31-ე წუთზე ხინჩაგაშვილმა აუტიდან მიაწოდა ბურთი ლ. ნოდიას, მან დრიბლინგის შემდეგ ცენტრში გადასცა და კუტივაძემ ახლო მანძილიდან გაქვითა გოლი – 1:1.

მე-40 წუთზე “სპარტაკის” კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. მეტრეველმა სწრაფად გაითამაშა ბურთი კუტივაძესთან, დინამოელთა ნახევარმცველმა ზუსტად და ძლიერად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა და ოლეინიკმა მხოლოდ ბადეში დაინახა ბურთი – 2:1.

საქმე, თითქოს უკვე გამოსწორებული იყო, თბილისელებს გაეხსნათ გზა გამარჯვებისკენ, მაგრამ “დინამოს” დაცვაში კვლავ იქნა დაშვებული შეცდომა, რამაც აბაევს საშუალება მისცა კარის შორეულ კუთხეში გაეგზავნა ბურთი – 2:2.

მატჩი, ფაქტიურად, ხელახლა დაიწყო თავიდან. მაგრამ თბილისელებმა კარგად გაითვალისწინეს პირველი ტაიმის შეცდომები, გამოსწორდა თამაში შუა ხაზში და გუნდი დაიძრა ხანგრძლივ, ძლიერ შეტევაზე. პირველი ათიოდე წუთის მანძილზე სტუმრები ასე თუ ისე ახერხებდნენ დაცვითი ოპერაციების ორგანიზებულად წარმოებას, მაგრამ ცხადი იყო, რომ ისინი დიდხანს ვერ გაძლებდნენ. განსაკუთრებით უჭირდა მათი დაცვის მარჯვენა ფლანგს, სადაც ლ. ნოდია სურვილისამებრ “ატრიალებდა” პოდლუჟნისა და პლიევს, თითქმის ყოველ მიღებულ გადაცემას ეფექტურ გაგრძელებას

აძლევდა მინდვრის ცენტრისკენ. იქ ძალზე ნაყოფიერად, ეფექტურად ითამაშა გ. ნოდიამ და “დინამოს” გამარჯვების საქმეც სულ მცირე ხანში რეალობად იქცა.

23-ე წუთზე გათამაშდა კომბინაცია ასათიანი ლ. ნოდია გ. ნოდია. 3:2. 32-ე წუთზე მეტრეველის გადაცემა გ. ნოდიამ მეოთხე გოლით დაამთავრა, 36-ე წუთზე კი, ასათიანის გადაცემის შემდეგ, მან “პეტ-თრიკი” შეასრულა და თავისი მესამე გოლი გაიტანა – 5:2.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 21 ოქტომბერი, 1970 წ.